მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 3 თვის საკასო შესრულება
I. შემოსავლები	**7,274.5**	**8,587.6**
გადასახადები	3,179.0	3,196.8
გრანტები	2,438.5	2,438.5
სხვა შემოსავლები	1,657.0	2,952.3
II. ხარჯები	**11,537.9**	**8,175.0**
შრომის ანაზღაურება	1,295.2	1,180.6
საქონელი და მომსახურება	3,921.5	1,980.2
სუბსიდიები	4,883.5	4,100.1
გრანტები	38.0	38.0
სოციალური უზრუნველყოფა	320.4	243.6
სხვა ხარჯები	1,079.4	632.5
III. საოპერაციო სალდო	**- 4,263.4**	**412.6**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**10,358.7**	**1,308.1**
ზრდა	11,288.7	4,961.6
კლება	930.0	3,653.5
V. მთლიანი სალდო	**- 14,622.2**	**- 895.5**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 14,622.2**	**- 895.5**
კლება	**14,622.2**	**895.5**
ვალუტა და დეპოზიტები	14,622.2	895.5
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 3 თვის საკასო შესრულება
შემოსულობები	**8,204.5**	**12,241.1**
შემოსავლები	7,274.5	8,587.6
არაფინანსური აქტივების კლება	930.0	3,653.5
გადასახდელები	**22,826.6**	**13,136.6**
ხარჯები	11,537.9	8,175.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	11,288.7	4,961.6
ნაშთის ცვლილება	**- 14,622.2**	**- 895.5**

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 8 204,5 ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 12 241,1 ათ.ლარი, ანუ გეგმის 149,2 % .

შემოსავლები

2024 წლის 3 თვეში ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 7 274,5 ათასი ლარი, ფაქტობრივად 8 587,6 ათასი ლარით შესრულდა, ანუ გეგმის 118,1%.

1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 3 196,8 ათასი ლარი, შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლის - 3 179,0 ათასი ლარის - 100,6 %. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2 679,4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 517,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 176,9 ათას ლარი: საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადიდან - 37,9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან - 24,1 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან - 29,3 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან - 85,7 ათასი ლარი;

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (299,4 ათასი ლარი) ქონების გადასახადიდან მიმდინარე პერიოდში 122,5 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად

საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2023 წლის 3 თვის ფაქტი 176,8 ათასი ლარი)

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 3 019,3 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2 380,0 ლარი) მიმდინარე პერიოდში 639,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 2 438,5 ათასი ლარი, მათ შორის:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2402 28.12.2023 წ.) – 2 184,5 ათასი ლარი (დაფინანსდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები მუნიციპალიტეტის სოფლებში: ნიჩბისი, ლისი, არაშენდა, მუხრანი, მისაქციელი, წეროვანი, წილკან-წეროვნის დამაკავშირებელი გზა);

მიზნობრივი ტრანსფერი - 254,0 ათასი ლარი, მათ შორის: ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 68,3 ათ. ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N56 15.01.24წ.) - 185,7 ათასი ლარი;

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლებისათვის** განსაზღვრული 1657,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 2952,3 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 178,2%, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -2584,1 ათასი ლარი - შედარებით 368,2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად მოდის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელზე, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულ შემოსავალზე, სანებართვო მოსაკრებელზე და სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) მოდის, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 919,8 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (764,1 ათასი ლარი) შედარებით 155,7 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 646,7 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (421,8 ათასი ლარი) შედარებით 224,9 ათასი ლარით მეტია, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მობილიზებულია - 421,1 ათასი ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 225,6 ათასი ლარი (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 155,5 ათასი ლარით მეტი).

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 429,2 ათასი ლარი, გეგმის - 400,0 ათასი ლარის - 107,3%, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 275,0 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (163,9 ათასი ლარი) შედარებით 111,1 ათასი ლარით მეტი.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან - 154,2 ათასი ლარი.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 6,8 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 4,3 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 2,5 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 921,9 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის (572,0 ათასი ლარი) 161,2%, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (849,5 ათასი ლარი) შედარებით - 72,4 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 763,4 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 25,2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ჯარიმები - 133,3 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 27,9 ათასი ლარი, მათ შორის: ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 9,7 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 1,2 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 11,8 ათასი ლარი, შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 5,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2024 წლის 3 თვეში ჩარიცხულია 3 653,5 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 1 106,4 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 181,8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 2 365,4 ათასი ლარი (მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან - 1 256,0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 1 109,4 ათასი ლარი).

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წლის 3 თვეში გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 22 826,6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13 136,0 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 57,5%, მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11 537,9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 8 175,0 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 70,9%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11288,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 4961,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 44%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1295,2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1180,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 91,2%.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 3921,5 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1980,2 ათასი ლარი, გეგმის 50,5%.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4883,5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4100,1 ათასი ლარი, გეგმის 84%.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 396,2 ათასი ლარი;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 55,8 ათასი ლარი;
- დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - 17,0 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 520,0 ათასი ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 47,4 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 1 975,6 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 455,1 ათასი ლარი;
- კულტურის ღონისძიებები 511,5 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები - 75,9 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 45,5 ათასი ლარი;

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 38,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 38,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%.

ამ მუხლით დაფინანსდა:
სახელმწიფო ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი"-ს ხელშეწყობის ხარჯები -13,0 ათასი ლარი;
ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები - 25,0 ათასი ლარი;

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 320,4 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 243,6 ათასი ლარი, გეგმის 76%.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება - 173,6 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 12,8 ათასი ლარი;
- ერთჯერადი სოციალური დახმარება - 34,5 ათასი ლარი;
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება - 13,6 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1079,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 632,5 ათასი ლარის მოცულობით, გეგმის 58,6%.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 21,4 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერია - 25,9 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარების ღონისძიებები - 260,2 ათასი ლარი.
- ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობის ღონისძიებები - 20,8 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 304,3 ათასი ლარი;

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 993,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (2621,0 ლარი) 76% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (13 136.6 ათასი ლარი) 15,2 %.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4 140,2 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (8 296,3 ათასი ლარი) 50% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (13 136.6 ათასი ლარი) 31,5 %.

გარემოს დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 859,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (1 030,7 ათასი ლარი) 83,4% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (13 136.6 ათასი ლარი) 6,5 %.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 466.8 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (4 600,9 ათასი ლარი) 32% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (13 136.6 ათასი ლარი) 11.2 %.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 75,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (81,9 ათასი ლარი) 92,7% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (13 136.6 ათასი ლარი) 0,6 %.

დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 757,0 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (2 282,3 ათასი ლარი) 77% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (13 136.6 ათასი ლარი) 13,4 %.

განათლების სფეროში საკასო შესრულებამ კი - 2 258,8 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (3048,3 ათასი ლარი) 74% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (13 136.6 ათასი ლარი) 17,2 %.

სოციალური დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 584,4 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (865,3 ათასი ლარი) 68% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (13 136.6 ათასი ლარი) 4,4 %.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

პრიორიტეტი **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 5607,0 ათასი ლარით, გეგმის (12897,3 ათასი ლარი) 43,6%;

პრიორიტეტი **დასუფთავება და გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 859,9 ათასი ლარით, გეგმის (1030,7 ათასი ლარი) 83,4%;

პრიორიტეტი **განათლება** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2258,8 ათასი ლარით, გეგმის (3048,3 ათასი ლარი) 74,1%;

პრიორიტეტი **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1757,0 ათასი ლარით, გეგმის (2282,3 ათასი ლარი) 77,0%;

პრიორიტეტი **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 660,3 ათასი ლარით, გეგმის (947,2 ათასი ლარი) 69,7%;

პრიორიტეტი **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1993,5 ათასი ლარით, გეგმის (2621,0 ათასი ლარი) 76,1%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 1970,3 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 5018,0 ათასი ლარის- 39,3%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება - დაფინანსებულია 1 533,9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 995,8 ათასი ლარი); გეგმური მაჩვენებლის 2810,8 ათასი ლარის 54,6%. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: სოფ. ძვ. ქანდაში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ), სოფ. ლისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ) ; სოფ. არაშენდაში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ, დასრულდა); სოფ. მუხათწყაროში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის და საყრდენი კედლის (ს.კ. 72.16.06.008) მოწყობა; სოფ. ნიჩბისში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ), სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ), სოფ. მუხრანში გზის რეაბილიტაცია (მერებაანთ უბანი) - 102,5 ათასი ლარი; სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (მე-8 და მე-11 მონაკვეთი, რგფ), სოფ. წეროვანში იგპ დასახლებაში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ), სოფ. წილკნისა და წეროვნის დამაკავშირებელი გზის ასფალტბეტონის

საფარის მოწყობა და სოფ. წეროვანში შიდა საუბნო გზების (N5, N6, N7, N8) ასფალტბეტონის საფარის მოწყობა(რგფ);

02 01 03 გზების კეთილმოწყობა - დაფინანსებულია 436,3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 2040,5 ათასი ლარის 21,4%. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: ქ. მცხეთაში შიდა საუბნო გზების (კონსტიტუციის და გორგასლის ქუჩის დამაკავშირებელი გზა, სამხედროს და კონსტიტუციის ქუჩების დამაკავშირებელი გზა, გამარჯვების ქუჩის მესამე შესახვევი, სამხედროს ქ. N11, N13 და N25 საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხის) რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე (არსენას ძეგლიდან მტკვარზე არსებულ ხიდამდე) ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციის სამუშაოები (რგფ); ქ. მცხეთაში, სამხედროს ქუჩაზე საყრდენი კედლების, ტროტუარების და ბორდიურების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე, ქალაქის შემოსასვლელში არსებული ხიდის მიმდებარედ, მტკვარზე გადასახედი მოედნის მოწყობა, ვიდეო სამეთვალყურეო აპარატურის შეკეთება, ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეძენა/დამონტაჟება.

02 02 წყლის სისტემების განვითარება დაფინანსებულია 572,1 ათასი ლარით, (გეგმური მაჩვენებლის - 2153,4 ათასი ლარის - 26,6%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია 396,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 458,8 ათასი ლარის - 86,4%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს „მცხეთის სოფწყალი“.

02 02 02 სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 155,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 1659,2 ათასი ლარის 9,4%. შემდეგ სამუშაოებზე: სოფ. ხეკორძში სასმელი წყლის მილსადენის მოწყობა (დასრულდა); ტუმბოების შეძენა- 38,1 ათასი ლარი; ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელენერგიის გადასახადი - 75,1 ათასი ლარი;

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - დაფინანსებულია 20,3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 35,5 ათასი ლარის - 57,1%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი და ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება).

02 03 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია დაფინანსებულია 398,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 522,2 ათასი ლარის - 76,2%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება დაფინანსებულია 323,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის- 395,0 ათასი ლარის 81,8%.

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია 55,8 ათასი ლარით; გეგმური მაჩვენებლის - 105,0 ათასი ლარის 53,1%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“;

02 03 02 გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 19,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 22,2 ათასი ლარის 86,3%.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. მუხრანში გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია;

02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 44,4 ათასი ლარით (მათ შორის, ტრანსფერი 43,9 ათასი ლარი); გეგმური მაჩვენებლის - 276,9 ათასი ლარის - 16%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ადმინისტრაციული შენობის რემონტი (სახურავის და ლიფტის); მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (მთავრობის განკარგულება N1840 16.10.2023წ.);

02 05 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება - დაფინანსებულია 1 296,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 1680,5 ათასი ლარის 77,1%.; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: 10 ერთეული ავტობუსის ღირებულების და ავტობუსების გეგმური ფლობის მომსახურების ანაზღაურება, ავტობუსების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და მგზავრთა გადაყვანის მომსახურება;

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) დაფინანსებულია 209,1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 23,2 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის 490,8 ათასი ლარის 42,6%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ქ. მცხეთა, ნარეკვავის დასახლებაში სააკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის მოწყობა (რგფ, დასრულდა); ქ. მცხეთაში, ღართისკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12 ა-ში არსებული სკვერის) რეაბილიტაცია (დასრულდა); სოფ. ციხისძირში ახალი სკვერის რეაბილიტაცია ს/კ 72.10.02.104-ის მიმდებარედ (ნაგავსაყრელი) (დასრულდა); სკვერებში გახარჯული წყლის გადასახადი;

02 06 02 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია 17,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 21,6 ათასი ლარის - 78,9%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“;

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები დაფინანსებულია 421,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 454,2 ათასი ლარის - 92,7%; დაფინანსდა საშობაო-საახალწლო დღესასწაულისთვის საახალწლო დეკორაციების მონტაჟი/დემონტაჟი/დასაწყობება, არსებული ინვენტარის რესტავრაცია/მონტაჟი/დემონტაჟი/დასაწყობება.

02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 141,0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 35,7 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 595,7 ათასი ლარის - 23,7%;

02 09 პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსებულია 102,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 562,0 ათასი ლარის - 18,2%;
დაფინანსებულია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

02 10 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - დაფინანსებულია 435.7 ათასი ლარით (სპეციალური ტრანსფერი), გეგმური მაჩვენებლის - 1 122,1 ათასი ლარის - 38,8%;

დაფინანსებულია შემდეგი სამუშაოები: სოფ. მცხეთაში ბებრის ციხის მიმდებარედ, მდ. არაგვის ხეობაში ნაპირსამაგრის მოწყობა; სოფ. ბიწმენდში ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა (დასრულდა);

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსებულია 787,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 940,1 ათასი ლარის - 83,7%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური";

03 02 01 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა დაფინანსებულია 47,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 63,5 ათასი ლარის - 74,6%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური";

03 02 02 მწვანე ნარგავების გაშენება დაფინანსებულია 25,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 27,1 ათასი ლარის - 94,1%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დაზიანებული და დაავადებული ხეები მოჭრა-გადაბელვა;

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა დაფინანსებულია 1 981,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 333,7 ათასი ლარის- 84,9%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება".

04 02 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია **6,6** ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 347,1 ათასი ლარის - 1,9%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გათბობა-ვენტილაციის მოწყობა;

04 03 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაფინანსებულია - 63,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 117,0 ათასი ლარის 54,2%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა დაფინანსებულია 207,2 ათასი ლარით, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 186,4 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის 250,4 ათასი ლარის 82,7%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება ფულადი ჯილდოთი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (მიზნობრივი ტრანსფერი).

05 01 სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსებულია **1095,8** ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1506,8 ათასი ლარის - 72,7% , შემდეგ ქვეპროგრამებზე:

05 01 01 01 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 81,3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 89,6 ათასი ლარის - 90,8 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა".

05 01 01 02 კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 57.9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის- 72.9 ათასი ლარის - 79.4%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია";

05 01 01 03 ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 116.7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 125.7 ათასი ლარის- 92.9 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა";

05 01 01 04 სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 62.7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის -78.6 ათასი ლარი -79.8 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა";

05 01 01 05 საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 136.4 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის -157.8 ათასი ლარი - 86.5 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი".

05 01 01 06 რაგბის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 25,0 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის -25,0 ათასი ლარის - 100,0 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“.

05 01 02 სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 615.7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 957.2 ათასი ლარის - 64.3 %.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. მუხრანში (პატარა ქანდა) მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, სოფ. ქსოვრისში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, სოფ. წილკანში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია, სპორტული ინვენტარის შესყიდვა, სპორტული ობიექტების კომუნიკაციების ქსელზე დაერთება.

05 02 კულტურის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 661,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 775,5 ათასი ლარის - 85,3%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

05 02 01 01 კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა დაფინანსებულია 440,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 532,0 ათასი ლარის - 82,8 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“;

05 02 01 04 მუზეუმების ხელშეწყობა დაფინანსებულია 13,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 13,0 ათასი ლარის -100 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“;

05 02 03 კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 136,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 152,1 ათასი ლარის - 89,9%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრისთვის“.

05 02 05 კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 70,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 78,5 ათასი ლარი 90,3 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი".

06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 249,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის -281,9 ათასი ლარის - 88,5%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია 75,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 81,9 ათასი ლარი 92,7 %, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 66,6 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები;

06 01 02 მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება დაფინანსებულია 173,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 200,0 ათასი ლარი - 86,8 %; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციის ღირებულების დაფინანსება (357 ბენეფიციარი), აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების (39 ბენეფიციარი) ფინანსური დახმარება.

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსებულია 317,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 560,6 ათასი ლარის 56,6%; საანგარიშო პერიოდში ცელიაკიით დაავადებულ 2 ბენეფიციარზე გაიცა ფინანსური დახმარება, მესამე და მეტი შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 17 ბენეფიციარს.

06 02 02 ერთჯერადი და სოციალური დახმარება დაფინანსებულია 34,5 ათასი ლარით (253 ბენეფიციარი) გეგმური მაჩვენებლის 35,0 ათასი ლარის 98,6 %;

06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება დაფინანსებულია 13,6 ათასი ლარით (24 ბენეფიციარი), გეგმური მაჩვენებლის 13,6 ათასი ლარის 100,0 %;

06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა დაფინანსებულია 17,3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 21,0 ათასი ლარის 82,5 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება".

06 02 06 მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება დაფინანსებულია 28,2 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის 34,1 ათასი ლარის 82,8 %; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის".

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსებულია 1 993,5 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 2 621,0 ათასი ლარის - 76,1 %) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 349,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა დაფინანსებამ შეადგინა 317,5 ათასი ლარი - 91,0%. მათ შორის, შრომის ანაზღაურება 237,8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 52,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯი 21,4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 5,6 ათასი ლარი;

01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია დაფინანსდა 1 673,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 262,0 ათასი ლარის - 74,0 %, მათ შორის, შრომის ანაზღაურება 942,8 ათასი ლარი, საქონელი და

მომსახურება 597,5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 9,1 ათასი ლარი, სხვა ხარჯი 25,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 98,4 ათასი ლარი;

01 01 04 საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება დაფინანსდა 2,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 10,0 ათასი ლარის - 23,7 %;

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით და ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და შპს „სოფწყალი"-ს ბიუჯეტების შესრულების შესახებ წარმოდგენილია დანართებით N 1 - 4.